

ბიზნეს-ინჟინერინგი სოციალურ მეცნიერებებში

საქართველოში საზოგადოების საშუალო ფენის ჩამოყალიბების საკითხისათვის

ხათუნა თოდუა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

რეზიუმე

ნებისმიერ ქვეყანაში ძლიერი საშუალო ფენა საზოგადოების სტაბილიზაციის მძლავრი საშუალებაა. სწორედ საშუალო ფენას ეფუძნება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის 70-80%, დღეს საქართველოში საშუალო ფენა ფაქტობრივად არ არსებობს, რაზეც მეტყველებს ჯინის მაღალი კოეფიციენტი. საქართველოში ხსენებული მაჩვენებელი 2013 წ. 40%-ს შეადგენდა მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით.

მიჩნეულია, რომ თუ საზოგადოების ყველაზე მდიდარი 5%-ის შემოსავლები 10-ჯერ და მეტად აღემატება ყველაზე ღარიბი 5%-ის შემოსავლებს, თავს იჩენს სოციალური დაძაბულობა, რაც ქვეყნის სოციალურ სტაბილურობას საფრთხეს უქმნის. საგანგაშოა, რომ საქართველოში ყველაზე მდიდარი ფენის 5%-ის შემოსავალი ყველაზე ღარიბი ფენის 5%-ის შემოსავალს 65-70 -ჯერ (!) აღემატება. აუცილებელია სახელმწიფომ გაატაროს ქმედითი პოლიტიკა შემოსავლების უთანაბრობის ხარისხის შესამცირებლად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა უპირველესად საშუალო ფენის შექმნისაკენ უნდა იყოს მიმართული.

საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია იღებს უზრუნველყოს ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება საბაზრო ეკონომიკის, გამჭვირვალე წესების, ასევე ეფექტური სოციალური პოლიტიკის გატარების საფუძველზე.

ხელი უნდა შეეწყოს მცირე და საშუალო ბიზნესსა და მოქალაქეთა დასაქმებას, შემოსავლების უთანასწორობის შემცირების ეფექტური გზაა აგრეთვე მაღალი შემოსავლების დაბეგვრა და მცირე შემოსავლების მქონე პირთათვის დახმარებების გაცემა. პროგრესული საშემოსავლო გადასახადებით და მცირე შემოსავლიანი ოჯახებისათვის დახმარებების სახელმწიფო პროგრამებით შესაძლებელია შემოსავლების გადანაწილებაზე არსებითი გავლენის მოხდენა.

Summary

About the Middle Class Formation
Problems in Georgia

Khatuna Todua, Candidate of Science Economics

A strong middle class is a powerful mean of stabilizing the society, the 70-80 % of developed economies are based on middle class. According to the Georgia's Gini coefficient standing at 40 %, there is an absence of the middle class in the country, which bespeaks of serious social and economic challenges in this way. So, the size of middle class is an acute problem in Georgia, which outweighs its neighbor countries in terms of income inequality.

A comparison helps better assess the situation: Norway have indicator of around 25, while the African countries are characterized by a high indicator (around 80). Even within the region, where the post-Soviet countries likewise have high indicator, Georgia still outweighs some of its neighbors in terms of inequality; for example, Armenian Gini coefficient is 30.2 %.

The best world practise shows the cause-fighting method is more effective, than subsidies. It's very effective to employ progressive taxation - to tax the rich proportionally more than poor to reduce the amount of income inequality in society, the other way seems to be instituting minimum wage legislation to raise the income of the poorest workers, or to target on education and health care accession to maintain the competitive environment.

The experts recommend Georgian government to undertake the cause-fighting policy in this field that usually is more effective.

* * * * *

როგორც ცნობილია, ნებისმიერ ქვეყანაში ძლიერი საშუალო ფენა საზოგადოების სტაბილიზაციის მძლავრი საშუალებაა, იგი ერთმანეთთან უშუალოდ აკავშირებს მდიდარ და ღარიბ ფენებს, არეგულირებს მათ შორის წარმოქმნილ წინააღმდეგობებს და თავისი შუალედური მდგომარეობით ორიენტირის ფუნქციას ასრულებს. სწორედ საშუალო ფენას ეფუძნება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის 70-80 %. საშუალო ფენის არარსებობამ ან სიმცირემ შესაძლოა სერიოზულ პრობლემებს დაუდოს სათავე.

ვინ მიეკუთვნება სააშუალო ფენას? აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში მიღებული საყოველთაო სტანდარტების მიხედვით, საშუალო ფენას განეკუთვნება ადამიანი, რომელსაც საბანკო ანგარიშზე 18 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობის თანხა აქვს, ჰყავს ავტომობილი, აქვს აგარაკი და კვირაში ერთხელ ოჯახთან ერთად რესტორანში სადილობს ან ვახშმობს.

ამ სტანდარტების მიხედვით საქართველოში, იმისათვის რომ საშუალო ფენას განეკუთვნებოდეს, საბანკო ანგარიშზე, სულ მცირე 2 869 ლარი უნდა გქონდეს (ვინაიდან საარსებო მინიმუმი ჩვენთან 2014 წლის მონაცემებით 159,4 ლარია), ასეთი დანაზოგის მფლობელი კი ქართულ რეალობაში არცთუ ბევრია. რაც შეეხება ისეთ სტანდარტებს, როგორიცაა აგარაკისა თუ ავტომობილის ფლობა და ა. შ., სამწუხაროდ, ჩვენი მოქალაქეების დიდი ნაწილი ვერც ამით დაიკვეხნის, შესაბამისად, მათ საშუალო ფენას ვერ მივაკუთვნებთ, ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

შედარებისათვის, აშშ-ში საშუალო ოჯახის წლიური შემოსავალი 50 000 დოლარია, ხოლო ღარიბად ითვლება ოჯახი, რომლის წლიური შემოსავალი არ აღემატება 22 000 დოლარს.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის საქართველოში საზოგადოების კლასიკური სამფენოვანი დაყოფა (მდიდრები, საშუალო ფენა და ღარიბები) შეიცვალა ხუთფენოვანით, რომლის მიხედვით ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს დაემატა კიდევ ორი: შეძლებულები (სოციალური ფენა მდიდრებსა და საშუალო კლასს შორის) და ლატაკები (უკიდურესად ღარიბები). სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მდიდრებად ჩაითვა ის ოჯახები, რომელთა შემოსავალი საარსებო მინიმუმს 4-ჯერ მაინც აღემატება (იმ დროისათვის 4-სულიანი ოჯახისათვის მინიმუმი შეადგენდა 196,6 ლარს). ასეთ ოჯახთა რაოდენობამ მთლიანად ქვეყანაში შეადგინა 6-7 %. შეძლებულ ოჯახებს მიაკუთვნეს ისინი, ვისი შემოსავლები 3-4-ჯერ აღემატებოდა საარსებო მინიმუმს. საშუალო ფენას მიაკუთვნეს ოჯახები, რომლებსაც საარსებო მინიმუმზე არა უმეტეს 3-ჯერ მეტი შემოსავალი ჰქონდა (მათმა საერთო რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 21-23 %). ყველა ის ოჯახი, რომელსაც საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა, მიეკუთვნა ღარიბთა ფენას. ცალკე გამოიყო ლატაკთა ფენა (ის ოჯახები, ვისაც შემოსავლები საარსებო მინიმუმის ნახევარზე ნაკლები ჰქონდა). ყველა სხვა ოჯახი, რომელთა შემოსავლები საარსებო მინიმუმსა და მის ნახევარს შორის მერყეობდა, უბრალოდ ღარიბებად ჩაითვა. ამ ფენების ცხოვრების სტანდარტები ვერ აკმაყოფილებს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების სტანდარტებს.

დღეს საქართველოში საშუალო ფენის ფაქტობრივ არარსებობაზე მეტყველებს საზოგადოების შემოსავლებს შორის უთანასწორობის ისეთი საყოველთაოდ აღიარებული და პოპულარული საზომი, როგორიცაა ჯინის კოეფიციენტი. ჯინის კოეფი-

ციენტი წარმოადგენს ერთგვარ მათემატიკურ კონცეფციას, რომლითაც იზომება შემოსავლების განაწილების უთანაბრობა 0-დან 1-მდე, ან პროცენტის სახით 0-დან 100 %-მდე. ჯინის დაბალი კოეფიციენტის შემთხვევაში შემოსავლების განაწილების მაღალ თანასწორობასთან გვაქვს საქმე. ზოგადად, რაც უფრო დაბალგანვითარებულია ქვეყანა, მით მაღალია იქ ჯინის კოეფიციენტი და, შესაბამისად, შემოსავლებს შორის უთანაბრობა. ამ მაჩვენებლით მსოფლიოში პირველ ადგილზეა ნამიბია 76,3 %-ით, ხოლო ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, როგორც ნორვეგია, ჯინის კოეფიციენტი 25,8 %-ს უტოლდება; რუსეთში ეს მაჩვენებელი 43%-ს, თურქეთში - 41,2-ს, ხოლო სომხეთში - 30,2 %-ს აღწევს. რაც შეეხება საქართველოს, 2012 წელს ჯინის კოეფიციენტმა 41 %, ხოლო 2013 წელს -40% შეადგინა მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით, რაც მოიცავს როგორც სამომხმარებლო ფულად ხარჯებს, ისე არაფულად ხარჯებსაც. ეს მონაცემები იმაზეც მეტყველებს, რომ რაც უფრო დაბალშემოსავლიანია ოჯახი, მით მეტად ცდილობს შემოსავლების მიღებას ნატურალური ფორმით - სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, ხოლო შედარებით მაღალშემოსავლიან ოჯახებში ნატურალური შემოსავლები ნაკლებია. შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ტენდენცია კი, როგორც ავლიშნეთ, ყოველთვის სახიფათოა საზოგადოებისათვის, გამოკვლევების მიხედვით, განვლილ პერიოდში არსებითად შეიცვალა ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურა და მოცულობა; თუ 1990 წელს საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი შეადგენდა 214 მანეთს, 1995 წელს შეადგინა 13,6 ლარი, 1996 წელს - 35 ლარი (ეკონომიკის დარგებში), 27 ლარი საბიუჯეტო ორგანიზაციებში, 45 ლარი არასაბიუჯეტო ორგანიზაციებში, 2000 წელს - 712, 5 ლარი, 2003 წელს - 101,5 ლარი, 2007 წელს -241 ლარი, 2012 წელს - 712,5 ლარი, ხოლო 2013 წელს - 773,1 ლარი, მათ შორის, სახელმწიფო საქტორში - 224 ლარი, კერძო სექტორში -300,6 ლარი, 1996წელს პენსია შეადგენდა 8 ლარსა და 50 თეთრს, 2007 წელს - 75 ლარს, ამავე წელს შინამეურნეობათა მთლიანმა ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 348, 1 ლარი, მათ შორის ხელფასზე მოდიოდა 31 %, ფულად გზავნილებზე -14 %, ფულის სესხებით, დანაზოგების გამოყენებით, ან ქონების გაყიდვით მიღებულ შემოსავლებზე - 12,5 %. აღსანიშნავია, რომ 2000-2007 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან შემოსავალი გაიზარდა მხოლოდ 7 ლარით (შეადგინა 27,2 ლარი, ანუ ფულადი შემოსავლების 7,8 %).

მიჩნეულია, რომ თუ საზოგადოების ყველაზე მდიდარი 5%-ის შემოსავლები 10-ჯერ და მეტად აღემატება ყველაზე ღარიბი 5 %-ის შემოსავლებს, ყალიბდება ერთგვარი სოციალური დაძაბულობა, გაუცხოება, რაც ქვეყნის სოციალურ სტაბილურობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ზემოთქმულის ფონზე საგანგაშოა, რომ საქართველოში, ექსპერტ იოსებ არჩვადის განცხადებით, ყველაზე მდიდარი ფენის

5%-ის ფულადი შემოსავალი ყველაზე ღარიბი ფენის 5%-ის შემოსავალს 65-70-ჯერ (!) აღემატება. ზოგადად, საქართველოში ბოლო წლებში მდიდრები კიდევ უფრო გამდიდრდნენ, ხოლო ღარიბები კიდევ უფრო გაღარიბდნენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საჭიროა ბრძოლა მდიდრებისა და სიმდიდრის წინააღმდეგ, საჭიროა ბრძოლა სიღარიბის წინააღმდეგ. სახელმწიფომ სწორი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების გზით უნდა შესძლოს ღარიბთა რაოდენობის შემცირება მათი თანდათან უფრო მაღალ სოციალურ ჯგუფში გადასვლის გზით, და არა მოგრატიის ან სიკვდილიანობის ხარჯზე.

აუცილებელია, სახელმწიფომ გაატაროს ქმედითი პოლიტიკა შემოსავლების უთანაბრობის შესამცირებლად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა უპირველესად სწორედ საშუალო ფენის შექმნისაკენ უნდა იყოს მიმართული. საზოგადოება მხოლოდ მაშინ ითვლება ჩამოყალიბებულად, მხოლოდ მაშინ არსებობს სტაბილურობის გარანტიები, თუ მასში საშუალო კლასი დაახლოებით 50-60 %-ის ფარგლებშია, საქართველოში კი ეს ციფრი სულ რაღაც 7-8 %-ს, ანუ ოპტიმალურზე დაახლოებით 8-ჯერ ნაკლებს შეადგენს. ასე რომ, საშუალო ფენა თავისი მცირერიცხოვნობის გამო, ვერ ქმნის ამინდს, ვერ ახდენს საზოგადოებაზე მასტაბილიზებელ გავლენას, რაც თავის მხრივ, სისტემური კრიზისის გახანგრძლივებას იწვევს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საშუალო ფენის ფორმირების პრობლემა ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა დღევანდელ საქართველოში, ქვეყანაში, სადაც ძირითადად მხოლოდ 2 სოციალური ფენა - მდიდრები და ღარიბები - არსებობს, ხოლო შუალედური ფენა, ფაქტობრივად, არ არსებობს. სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ 4 მილიონიან ქვეყანაში მილიონზე მეტი სოციალურად დაუცველი ადამიანია, ცხადია, ეს ყოველივე იმაზე მეტყველებს, რომ სოციალური მდგომარეობა ერთობ არასახარბიელოა. იმისათვის, რომ აღნიშნული პრობლემა მოიხსნას, მთავრობა ახალი ანიციატივით გამოდის და გეგმავს სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებას, რაც ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბების წინაპირობა უნდა გახდეს.

საქართველოს სახელმწიფოსა და მისი თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და ცხოვრების ღირსეული პირობების შესაქმნელად საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია იღებს უზრუნველყოფის ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება საბაზრო ეკონომიკის, გამჭვირვალე წესების, ასევე ეფექტური სოციალური პოლიტიკის გატარების საფუძველზე.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტის თანახმად, საქართველოს სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია ეკონომიკის რეფორმირების პირობებში ხელი შეუწყოს სიღარიბის დაძლევის, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას და ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებას. ხელისუფლებას მიაჩნია, რომ საქართველოს მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზ-

ნით, აუცილებელია უმუშევრობის დონის შემცირება ქვეყანაში, განსაკუთრებით კი რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და სოციალური მობილურობის გაზრდა.

ამავე კონცეფციის თანახმად, მნიშვნელოვანია საპენსიო და სოციალური დაცვის სისტემის შემდგომი რეფორმირება; სოციალური დაზღვევის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება; სიღარიბის ზღვარს მყოფი ოჯახების მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა.

ამისათვის ხელი უნდა შეეწყოს მცირე და საშუალო ბიზნესსა და მოქალაქეთა დასაქმებას, ხელმისაწვდომი უნდა გახდეს განათლება, ჯანდაცვა და ა. შ., მით უფრო, რომ საქართველოში მცირე მენარმეობის განვითარებისათვის არსებობს ხელსაყრელი პირობები: ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება, ეკონომიკის მაღალი რესურსული პოტენციალი, უნიკალური სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და. ა. შ. ერთ-ერთი პოზიტიური პირობაა აგრეთვე საქართველოს ტერიტორიის ვერტიკალური დაყოფის პრინციპი. საქართველო მთიანი ქვეყანაა, რომელიც მდიდარია დასახლებული პუნქტებით, რაც თავის მხრივ მცირე მენარმეობის განვითარების ხელშეწყობი ობიექტური ფაქტორია. ცნობილია, რომ მცირე მენარმეობა ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი; მისთვის ნიშანდობლივია წარმოების შედეგების გაზრდით მაქსიმალური დაინტერესება, საქმიანობის კონფიდენციალობა, მოქნილობა, მობილურობა, მენარმეობაში თავისუფლება და ოპერატიულობა, სამენარმეო საქმიანობის დაწყებისა და ორგანიზების სიმარტივე, გადანყვეტილებების მიღებაში დამოუკიდებლობა და სხვ.

შემოსავლების უთანასწორობის შემცირების გზაა აგრეთვე მაღალი შემოსავლების დაბეგვრა და მცირე შემოსავლების მექონე პირთათვის დახმარებების გაცემა. პროგრესული საშემოსავლო გადასახადებით და მცირეშემოსავლიანი ოჯახებისათვის დახმარებების სახელმწიფო პროგრამებით შეიძლება მოვახდინოთ არსებითი გავლენა შემოსავლების გადანაწილებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პოლ ჰეინე, ეკონომიკური აზროვნება, თბ., 2009 .
2. ნ. ჭითანავა, საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები, თბ., 2009.
3. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2005.
4. www.geostat.ge